ზემო სვანეთის მიწათსარგებლობის ანალიზი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით

<u>თამარ ხარძიანი</u>

ელ-ფოსტა: tamari.khardziani623@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179

ზემო სვანეთი მაღალმთიანი და მცირემიწიანი რეგიონია. აქ, მიწა წარმოების ძირითად საშუალებას წარმოადგენს, ამავდროულად იგი მუდმივად განიცდის გეოდინამიკური პროცესების ზემოქმედებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ეკო-მიგრანტთა ნაკადები. აქედან გამომდიანრე საჭიროდ მიმაჩნია მიწის რესურსების შესწავლა და შეფასება, მათი ხარისხობრივი და თვისობრივი მახასიათებლების განსაზღვრა.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება კვლევას, რომელიც განხორციელდა 2012-2013 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების ფარგლებში. კვლევა მიზნად ისახავდა მიწათსარგებლობის ანალიზს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. კერძოდ, გეოინფორმაციულ რუკათშედგენასა და მიწათსარგებლობის გეოსტატისტიკურ ანალიზს. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა ArcGIS-ი, სატელიტური სურათები, ტოპოგრაფიული რუკები, ციფრული ლანდშაფტური საფუძვლები (სახეების და ელემენტარული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დონეზე), საველე კვლევის ბლანკები და სხვ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ფაქტობრივად ათვისებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მიწათსარგებლობის ჰიპოთეტური არეალები. ჩატარდა თითოეული მათგანის კატეგორიზაცია და გეოსტატისტიკური ანალიზი, შედგენილ იქნა თემატური რუკები. ფაქტობრივად ათვისებული სავარგულებისთვის განისაზღვრა რამოდენიმე მორფომეტრიული მახასიათებელი (ჰიფსომეტრია, ზედაპირის დახრილობა, ექსპოზიცია) და მოხდა მათი შემდგომი სივრცითი ანალიზი. კვლევის ფარგლებში ასევე განისაზღვრა გეოდინამიკური პროცესების რისკის ქვეშ მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არეალები და გამოიყო მდგრადი უბნები.

საერთო ჯამში კვლევის შედეგები წარმოდგენას გვიქმნის მესტიის რაიონის მიწათსარგებლობის ხასიათსა და სივრცით განაწილებაზე, მიწის რესურსების პოტენციალსა და არსებულ რისკებზე.